# მხურვალე სალამი საქართველოს ფიზკულტურული აქტივის მონაწილეებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 105 (4875) 30 მაისი, ოთხშაბათი. 1973 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სურათზე: დღევანდელი ფიზკულტურული აქტივის კრების მონაწილენი (მარცხნიდან) — ფოთის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. გოგიჩაიშვილი, აჭარის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ზ. მამუჭაძე, ქუთაისის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ახვლედიანი და წალკის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ფელივანოვი ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში.

მ. ზარგარიანის ფოტო.



ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

## გარჯა დაუფასდათ

ემზადებოდნენ რა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის, რესპუბლიკის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს — გადაჭარბებით შეასრულეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების 1972 წლის გეგმა-ვალდებულებები. შარშან მომზადდა 223 სსრ კავშირისა და 18 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. გადაჭარბებით შესრულდა, აგრეთვე, მშდ კომპლექსის ნიშნოსნებისა და სპორტსმენთანრიგოსანთა მომზადების გეგმა, რის შედეგადაც საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ ზედიზედ მეთოთხმეტედ მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და საპატიო სიგელი.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქუთაისის, რუსთავის, ფოთის საქალაქო, აფხაზეთის ასსრ, ზესტაფონის, მცხეთის, თელავის, ორჯონიკიძის, ასპინძის ახალქალაქის, ონის, ლანჩხუთის, ყვარლის, წითელი წყაროს, სამტრედიის რაიონების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, „დინამოს", „განთიადის", „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვების" საბჭოებმა.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა 1972 წელს მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისთვის გარდამავალი წითელი დროშებითა და საპატიო სიგელებით დააჯილდოვა ქუთაისისა და რუსთავის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტები; მცხეთის, ზესტაფონის, თელავის, ასპინძის, ორჯონიკიძის რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები; „დინამოს" რესპუბლიკური და „განთიადის" ცენტრალური საბჭოები.

საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ: აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, ფოთის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტი; ახალქალაქის, ლანჩხუთის, ონის ყვარლისა და წითელი წყაროს ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტები; „ლოკომოტივის" საგზაო და „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოები.

1972 წელს ფიზკულტურასა და სპორტში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებაში უნარიანი ხელმძღვანელობისთვის კომიტეტის საპატიო სიგელებითა და ერთი თვის ხელფასით (ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან) დაჯილდოვდნენ: ქუთაისის (ლ. ახვლედიანი), რუსთავის (ო. ჯებაშვილი), ფოთის (ბ. გოგიჩაიშვილი), აფხაზეთის (ჯ. გუბაზი), ზესტაფონის (კ. ბაზაძე), მცხეთის (ფ. ხუროშვილი), თელავის (ვ. სახიევი), ორჯონიკიძის (ა. მაჭავარიანი), ასპინძის (ვ. ცინაძე), ახალქალაქის (კ. ოვანოღლიანი), ონის (შ. ქოჩლაძე), ლანჩხუთის (გ. წილოსანი), ყვარლის (ვ. ბეუკლიშვილი), სამტრედიის (ა. კალაძე) ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეები.

რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ: „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. დიდიძე, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. გიორგობიანი, „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს თავმჯდომარე თ. კაჭახიძე, „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. მეგრელიშვილი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექსასწავლებლების სახელმწიფო კომიტეტის წინაშე დაისვა საკითხი ადგილობრივი ბიუჯეტიდან მათი ერთი თვის ხელფასით დაჯილდოების შესახებ.

## გაიმარჯვეს ქართველმა მეზღვაურებმა

„ვოდნიკის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ყოველწლიურად აჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს.

„ვოდნიკის" საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოში ამას წინათ სასიხარულო ცნობა მიიღეს: ქართველმა მეზღვაურმა სპორტსმენებმა აუზებისა და რესპუბლიკური საბჭოების მესამე ჯგუფის კოლექტივების კონკურს-დათვალიერებაში 1972 წლის შედეგების მიხედვით I ადგილი დაიკავეს.

საბჭო დაჯილდოვდა „ვოდნიკის" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი თასით, I ხარისხის დიპლომით, სპორტული ფორმითა და ინვენტარით, აგრეთვე ფულადი პრემიით.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.



## ნაუმბლად

ლიმა, 29 მაისი. მსოფლიოს საკალათბურთო ფესტივალის ფინალური ტურნირის ბოლო მატჩი სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა ბულგარელებთან ჩაატარა და გაიმარჯვა — 99:65 (47:35).

საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა მძაფრ ბრძოლაში დაამარცხა კუბელთა კოლექტივი — 64:58 (31:25).

ამრიგად, საბჭოთა კალათბურთელმა ქალებმა მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლეს და I ადგილი დაისაკუთრეს. სამ გუნდს — ბულგარეთის, საფრანგეთისა და კუბის კოლექტივებს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ. ურთიერთმაჩვენებლების უკეთესი სხვაობით II ადგილზე გავიდნენ ბულგარელები, III — კუბის, ხოლო IV — საფრანგეთის კალათბურთელები.

### დღეს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ჩატარდება რესპუბლიკის ფიზკულტურული აქტივის კრება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

დღის წესრიგშია საკითხი: „რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" (მომხსენებელი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე).

დასაწყისი 11 ს.

◆ პიმერონი (საფრანგეთი), 29 მაისი. აფროსანთა მსოფლიო ჩემპიონატმა „სოლინგის" კლასში ოქროს ჯილდო მოუტანა დანიელთა ეკიპაჟს ი. ანდერსენის თავკაცობით. შვიდი რბოლიდან ექვსი საუკეთესო შედეგის ჯამში ამ ნავს 17,7 საჯარიმო ქულა დაუგროვდა. ვერცხლის პრიზიორებიც დანიელები (მესაჭე პ. იენსენი) იყვნენ — 42,4 ქულა. III ადგილი შვედების ტრიომ დაიკავა, რომელსაც სახელგანთქმული აფროსანი ს. ვენერსტრიომი ხელმძღვანელობდა — 47,7 ქულა. საბჭოთა სპორტსმენები ამ ჩემპიონატში არ მონაწილეობდნენ.

◆ ვარშავა, 29 მაისი. პოლონეთის დედაქალაქისა და მოსკოვის ჭაბუკ მსროლელთა გუნდების აქ გამართული მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 17:13.

### 19 45

◆ დელი, 29 მაისი. 16 ჩეხოსლოვაკიელმა მებაიდარემ ზღვის დონიდან 4243 მეტრ სიმაღლეზე აიღო სტარტი. ისინი ნეპალის მთის მდინარე დუდხ კოშის დაუყვნენ თავიანთი სიფრიფანა ნავებით — 126 კმ განვლეს ბობოქარ ტალღებში. ჩეხოსლოვაკიელი ნიჩბოსნები ასე მამაცურად პირველად როდი ასპარეზობენ მთებში, მაგრამ ჰიმალაის სამეფოში ამგვარი ლაშქრობა არ განუხორციელებიათ. საამისოდ ისინი სამ წელიწადს ემზადებოდნენ, მთის მდინარეებში ვარჯიშობდნენ. ჩეხოსლოვაკიის გუნდის კაპიტანმა ი. ბაბაკმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩვენ ამ წარმატების გამეორებას ვაპირებთ დედამიწის რომელიმე მაღალმთიან რაიონში".



## მაღალი ჯილდო

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიამ ნ. კრუპსკაიას სახელობის მედლით დააჯილდოვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგე გიორგი მერკვილაძე.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს დავალებით სპორტის ვეტერანს მედალი გადასცა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა. მანვე გ. მერკვილაძეს გადასცა ბელორუსიის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ფიზკულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სიგელი და სამახსოვრო მედალი.

აღსანიშნავია, რომ ნ. კრუპსკაიას სახელობის მედალზე წარდგენისას კანდიდატურას მხარი უნდა დაუჭიროს სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიამ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს იშვიათი მედალი განათლების მუშაკთა ნახევარმილიონიანი არმიიდან მხოლოდ 207 კაცს აქვს მიღებული. აქედან ფიზკულტურისა და სპორტის დარგის მუშაკი ორია: მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ცენტრალური ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. იაკოვლევი და ჩვენი თანამემამულე, რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. მერკვილაძე.

მეორე, ბელორუსიის ინსტიტუტის ჯილდო გ. მერკვილაძემ მიიღო „ბავშვთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მოღვაწეობისა და ფიზიკური აღზრდის ისტორიის დარგში დაწერილი შრომებისთვის".

ეს შრომები გ. მერკვილაძემ წაიკითხა ლენინგრადში ისტორიკოსებისა და მეთოდისტების საკავშირო სემინარზე, აგრეთვე მინსკში ბელორუსიის ინსტიტუტის მიწვევით.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია ულოცავს ქართული სპორტის ამაგდარს მაღალ ჯილდოს.

რედაქციამ მიიღო აგრეთვე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის განყოფილების თანამშრომელთა დეპეშა, რომლითაც ისინი გ. მერკვილაძეს შრომის დაფასებას ულოცავენ.





# მოსწავლეები ტურისტულ ბილიკებზე



თიანეთის რაიონის სოფელ ბოჭორმის წარმტაცი მიდამოები აირჩიეს თბილისის პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტმა და თბილისის ალკკ საქალაქო კომიტეტმა ერთობლივი ტრადიციული შეჯიბრებისთვის, რომელიც მიეძღვნა პიონერთა რაზმების საკავშირო მარშის — „მზად ვარ" — მარშრუტს „ძლიერნი, გამბედავნი, მარდნი". შეკრება-შეჯიბრებაში თბილისის საშუალო სკოლების 350-მდე ნორჩი ტურისტი მონაწილეობდა.

მოსწავლეები სამ დღეს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მოხერხებასა და გამბედაობაში, საზრიანობასა და გამჭრიახობაში.

ბანაკის გაშლისა და შეკრების ალმის აღმართვის შემდეგ მოეწყო ესტაფეტა. პიონერებს შორის ყველას აჯობა (ტრასის სიგრძე 1800 მ) 127-ე საშუალო სკოლის გუნდმა, ხოლო კომკავშირელებში (ტრასის სიგრძე 2200 მ) — 58-ე საშუალო სკოლის კოლექტივმა.

პროგრამაში კიდევ ბევრი საინტერესო ტურისტული ღონისძიება იყო. ნორჩებმა კარგი ფიზიკური მომზადება და საქმის ცოდნა გამოავლინეს.

საერთო პირველობა პიონერებში მე-5 საშუალო სკოლის კოლექტივმა მოიპოვა. II ადგილი დაიკავეს 75-ე, III კი 124-ე საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა. კომკავშირელთა შორის გამარჯვება არავის დაუთმეს 138-ე საშუალო სკოლის ტურისტებმა. II ადგილი ხვდათ მე-5, III კი მე-100 საშუალო სკოლების სპორტსმენებს.

შეჯიბრებაში რაიონების მიხედვით პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: კიროვის, ორჯონიკიძის, პირველი მაისის რაიონები.

შეკრება-შეჯიბრება დიდად დაეხმარება მოსწავლეებს მზდ ახალი კომპლექსის ნორმატივების წარმატებით ჩაბარებაში.

ყველა გამარჯვებულს გარდამავალი თასები, ვიმპელები და სიგელები გადაეცა.

ბანაკში გატარებული დღეები ნორჩ ტურისტებს დიდხანს ემახსოვრებათ.

**გ. პეტრიაშვილი.**

(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. ბოჭორმა,
თიანეთის რაიონი.

• • •

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.

ა. კავკასიძის ფოტოები.

გვესაუბრება მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის

# ახალგაზრდობა დიდი ძალა და იმედია

საქართველოს მრავალდღიანიველორბოლის ბოლოსწინა, VII ეტაპი (თბილისი — ლაგოდეხი) ერთ-ერთი ყველაზე გრძელი და ამიტომაც რთული იყო. რბოლა მოიგო სპარტაკელმა ი. რთველიაშვილმა, რომელმაც 155 კილომეტრის გავლას 4:10.22 მოანდომა. გუნდურ ჩათვლაში ამ ეტაპზე თავი დინამოელებმა გამოიჩინეს.

კვირას მრავალდღიანი ველორბოლის ფინიში მოეწყო. ველოსიპედისტებმა მანძილი ლაგოდეხიდან თბილისამდე გაცილებით უკეთ გაიარეს, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა: მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ტრასის სიგრძე ოდნავ შემცირდა და, ცხადია, დროც ყველა მონაწილეს უკეთესი აღმოაჩნდა. ეტაპი მოიგო ბურევესტნიკელმა რ. კობიაშვილმა (4:01.30), რომელიც პირად ჩათვლაში გამოდიოდა.

რვა ეტაპის ჯამში გუნდური გამარჯვება „განთიადს" დარჩა — 70:37.59. ამ სპორტსაზოგადოების წარმატებაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ, მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლექტივის წევრებმა თავი არ დაზოგეს, რათა პირნათლად მოეხადათ ვალი თავიანთი სპორტსაზოგადოების წინაშე.

II საპრიზო ადგილი „დინამოს" ხვდა — 70:45.10, III კი „სპარტაკს" — 71:14.24.

პირად ჩათვლაში პრიზიორთა სამეული ასეთია: 1. ი. რთველიაშვილი — 22:57.42, 2. ზ. ჩქარეული — 23:08.15; 3. ა. ცხოვრებაძე (ორივე — „დინამო") — 23:09.11.

ველორბოლის შემდეგ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა შეჯიბრების მთავარ მსაჯს, საქართველოს საგზატკეცილო ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ი. გოცირიძეს.

— ორი წელია, რაც საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლა არ გამართულა, — თქვა მწვრთნელმა. — ამ ხნის მანძილზე საგზატკეცილო ველოსპორტში ძალთა სერიოზული გადაფასება მოხდა. ვეტერანებმა სარბიელი დატოვეს და გზა ახალგაზრდობას დაუთმეს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ წლევანდელი ასპარეზობის მონაწილეთაგან მხოლოდ სპარტაკელებს რთველიაშვილსა და დაიაურს ჰქონდათ წინა რბოლებში მონაწილეობის გამოცდილება. დანარჩენებისთვის მრავალდღიანი ველორბოლა პირველი დიდი შეჯიბრება იყო.

ახალგაზრდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შეუშინდნენ სიძნელეებს და სულ მალე აუღეს ალღო მრავალდღიანი რბოლის სპეციფიკას, სადაც მთავარია სწორად გაანაწილო ძალები მთელი ასპარეზობის მანძილზე და ბოლო ეტაპებისთვის, სადაც ფაქტიურად წყდება რბოლის ბედი, შემოინახო ენერგია და სიმხნევე.

პირველი ეტაპები ახალგაზრდებმა ფსიქოლოგიურ აკლიმატიზაციას მოანდომეს, მერე კი მტკიცედ იგდეს ხელთ ინიციატივა და ბოლომდე არ დაუთმიათ. რთველიაშვილის წარმატება, რა თქმა უნდა, კანონზომიერია. იგი ფიზიკურადაც კარგადაა მომზადებული და ტაქტიკურადაც. რაც შეეხებათ დინამოელებს ჩქარეულსა და ცხოვრებაძეს, მათი წარმატება უდავოდ მისასალმებელია. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი გარემოებაც: ზემოდასახელებული ველოსიპედისტები ეტაპიდან ეტაპამდე აუმჯობესებდნენ შედეგებს და რბოლის მიწურულს უკვე დასრულებულ ოსტატებად წარმოგვიდგნენ. კარგი შთაბეჭდილება დატოვა განთიადელმა ტოლომაშვილმაც. იგი ყველაზე აქტიური ველოსიპედისტი იყო მთელი რბოლის მანძილზე და, როგორც წესი, ტონს აძლევდა რბოლას. ტოლომაშვილი პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა, მაგრამ ეს არაფერია. სპორტსმენს ფინიშზე გამძლეობამ უღალატა, ეს კი ადვილად გამოსასწორებელი ნაკლია. მთავარია, რომ მას ახასიათებს ბრძოლის ჟინი, სიტუაციის გამწვავების უნარი. ეს ძვირფასი თვისებებია.

რამდენიმე სიტყვა მოწინავე კოლექტივებზე. „განთიადისა" და „დინამოს" გუნდები მთლიანად ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული. ახალგაზრდობა დიდი ძალაა და, ამასთან, მომავლის იმედიც. ამიტომაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ გუნდების წარმომადგენლები კიდევ არაერთხელ ისახელებენ თავს. მით უმეტეს, რომ საზოგადოებების ხელმძღვანელებს მათთვის ზრუნვა არ დაუკლიათ მთელი რბოლის მანძილზე.

ამ მხრივ სამაგალითოა „განთიადის" კოლექტივი (სპორტსაზოგადოების თავმჯდომარე ა. გიორგობიანი). „განთიადმა" თავისი გუნდის წევრებს წარმატების ყველა პირობა შეუქმნა. ხელმძღვანელებისა და მთელი კოლექტივის ზრუნვა კარგი სტიმული იყო მონაწილეებისთვის. მძიმე გამოცდის დროს კი უბრალო გამამხნევებელ სიტყვასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

შეჯიბრებამ ორგანიზებულად ჩაიარა. ეს პირველ ყოვლისა მსაჯთა კოლეგიისა და საქართველოს ავტოინსპექციის მუშაკთა მოქნილი მუშაობის შედეგი იყო, რომლებმაც უზრუნველყვეს სპორტსმენთა უსაფრთხოება ზომაზე მეტად გადატვირთულ გზებზე.

დასასრულს იმედს გამოვთქვამთ, რომ მრავალდღიანი ველორბოლების ტრადიცია ერთხელ და სამუდამოდ აღდგება. ეს სასარგებლო ღონისძიება თუნდაც იმიტომ, რომ პოპულარულია ველოსიპედისტთა შორის და ხელს უწყობს მათი ოსტატობის შემდგომ სრულყოფას.

**ნ. ახვლედიანი.**

• • •

სურათზე: ი. რთველიაშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.



# საქართველოს რეკორდით

ბავშალის სასროლეთზე ექვს დღეს გაგრძელდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში.

პირველ ჯგუფში საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ერევნელმა სპორტსმენებმა, ხოლო მეორეში — თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის წარმომადგენლებმა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე ჩქაროსნულ შეჯიბრებაში ერევნელმა სპორტის ოსტატმა ს. მნაცაკანიანმა 591 ქულა მოაგროვა და ჩემპიონობა მოიპოვა.

ქალთა შორის ამ ვარჯიშში შეიარაღებული ძალების ორგზის ჩემპიონმა, თბილისელმა სპორტის ოსტატმა ო. კუდრიავცევამ იმარჯვა — 584 ქულა. მან საქართველოსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის რეკორდებიც დაამყარა. ეს მაჩვენებელი ახალი სპორტული კლასიფიკაციით 7 ქულით აღემატება სპორტის ოსტატის ნორმატივს.

კუდრიავცევამ ასევე წარმატება მოიპოვა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებსა და სილუეტებზე შეჯიბრებაშიც — 581 ქულა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრიდან შავ სამიზნეებზე ასპარეზობაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნაკრების წევრს ვ. სალუქვაძეს 2 ქულით აჯობა ერევნელმა სპორტის ოსტატმა ა. დიღმელაშვილმა — 557 ქულა.

ქალთა შორის გაიმარჯვა თბილისელმა ოსტატმა ტ. სიდამონიძემ — 268 ქულა 300-დან. მან უკეთესი საბოლოო სერიის წყალობით მოუგო თანაგუნდელ ტ. ყაზარიანს, რომელმაც ამდენივე ქულა დააგროვა. კუდრიავცევა მესამე იყო — 265.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი პ. ოვჩინიკოვი — 570. მან სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ერევნელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა გ. მელოიანმა „გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი გასროლით ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი — 229 ქულა. „გაქცეულ ირემზე" 25 ორმაგი გასროლა მოიგო მისმა თანაგუნდელმა გ. მურადიანმა — 222 ქულა.

**რ. პაცობაშვილი.**

# ერთი წლის მანძილზე

თბილისელები სპორტულ ლატარიაში ჩაებნენ 1972 წლის მე-13 ტირაჟიდან, რომელიც შარშან 10 მაისს გაიმართა. მას შემდეგ „სპორტლოტო" სწრაფად გავრცელდა საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში.

გათამაშებაში იმთავითვე ჩაებნენ ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, გორის, ზუგდიდისა და სხვა ქალაქების მცხოვრებნიც. დღეს „სპორტლოტოს" ყოველ ტირაჟში საქართველოს 17 ქალაქისა და ბევრი სხვადასხვა რაიონის მოსახლეობა მონაწილეობს. ამ ლატარიის მიმზიდველობაზე და „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს კარგ მუშაობაზე მეტყველებს შემდეგი ციფრები: 1972 წელს რესპუბლიკაში გეგმით უნდა გაყიდულიყო 1434000 მანეთის 4780000 ბარათი, სინამდვილეში კი გაიყიდა 1687545 მანეთის 5625152 ბარათი, რაც გეგმის 117,6 პროცენტს შეადგენს.

როგორც ვწერდით, საქართველოს სამმართველომ წლეულს პირველ კვარტალში უფრო ნაყოფიერად იმუშავა და გაიმარჯვა „სპორტლოტოს" საკავშირო ზონალურ სამმართველოებს შორის გამართულ შეჯიბრებაში: გეგმით გათვალისწინებული 513 ათასი მანეთის 1710000 ცალი ბარათის ნაცვლად გაიყიდა 676800 მანეთის 2256000 ცალი ბარათი, რაც 131,9 პროცენტს შეადგენს.

ქართული „სპორტლოტოს" ერთი წლის არსებობის მანძილზე ხუთი სახეობის ამოცნობისთვის მოგება ხვდა 137 კაცს, ოთხი სახეობისთვის — 8328, სამისთვის — 150619 მონაწილეს. მოგების სახით გაცემულმა საერთო თანხამ 1317633 მანეთი შეადგინა. მართალია, ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ექვსი სახეობის ამოცნობა ჯერჯერობით ვერავინ შეძლო, მაგრამ ცხრა კაცმა ხუთი სახეობის ამოცნობისთვის მიიღო უმაღლესი მოგება — 5000-5000 მანეთი.

ბათუმის ორმა მცხოვრებმა საქართველოსთვის საიუბილეო, წლევანდელ მე-13 ტირაჟში კოლექტიურად ითამაშა. ორ ბარათზე მათ სპორტის ხუთი სახეობა ამოიცნეს, სამ ბარათზე კი სამ-სამი, რისთვისაც 6499 მანეთი მოგება ხვდათ. ისინი ჩვენს რესპუბლიკაში ამ თამაშის რეკორდსმენები გახდნენ.

მეტად დიდი მნიშვნელობისაა „სპორტლოტოს" დევიზის მეორე ნაწილი — იგებს სპორტი. იგი ხელს გვიწყობს ახალი სპორტული ბაზების მშენებლობაში, ძველის რეკონსტრუქცია-განახლებაში, სპორტული ღონისძიებების ჩატარებაში. მაგალითად, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დღემდე „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოდან მიიღო 372800 მანეთი, აქედან 180000 მანეთი ლესელიძის პანსიონატ „სპორტის" ტანვარჯიშის დარბაზის მშენებლობისთვის დაიხარჯა, 20000 მანეთი გამოყენებული იქნება ქუთაისის კალათბურთის დახურული სტადიონის მშენებლობისთვის, 17000 მანეთი თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ჩოგბურთის კორტების რეკონსტრუქციას მოხმარდება, დანარჩენი კი გამოყოფილია რესპუბლიკის სხვა ქალაქებში სპორტული ბაზების მშენებლობისა და რეკონსტრუქცია-განახლებისთვის.

მეტი გაკეთდება მომავალში, რის იმედსაც საქართველოს „სპორტლოტოს" მოყვარულთა რიცხვის გამუდმებული ზრდა გვაძლევს.

**გ. ფაილოძე,**

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

• • •

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველო ნაყოფიერი მუშაობისთვის დაჯილდოვდა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის დიპლომით, ხოლო სამმართველოს თანამშრომელთა ჯგუფი — სიგელებით.

1973

სსრ კავშირის პირველობა

# მატჩის გმირი — დავით გოგია!

ტაშკენტის „ფახთაქორისა" და თბილისის „დინამოს" გუშინდელი მატჩის წინ ორივე მხარე მძიმე სატურნირო მდგომარეობაში იყო: თბილისელები — ცხრილის შუაგულში, მასპინძლები — აუტსაიდერთა შორის, XV ადგილზე. ამას გარდა, გუნდებს აკლდნენ წამყვანი მოთამაშეები: „დინამოს" — ხურცილავა, ძოძუაშვილი, ასათიანი, „ფახთაქორს" — ფიოდოროვი.

ბრძოლა პირველივე წუთებიდან უკიდურესად დაძაბულად წარიმართა. რამდენიმე ურთიერთშეტევის შემდეგ დინამოელებმა საფუძვლიანად იგდეს ხელთ უპირატესობა და უკვე მე-8 წუთზე დაწინაურდნენ: მჭედლიშვილმა ძლიერად დაარტყა კარში, ბურთი მოხვდა ტაშკენტელთა ერთ-ერთ მცველს და ბადეში აღმოჩნდა. მე-16 წუთზე მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე წააქციეს რეხვიაშვილი და პენალტი ზუსტად გამოიყენა ყიფიანმა — 2:0.

ორი ბურთის უპირატესობა დასაწყისში თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო თბილისელთა საბოლოო წარმატებისთვის, მაგრამ მათ ვერ შეინარჩუნეს იგი, დათმეს ინიციატივა და „ფახთაქორმა" 30-ე წუთისთვის შეძლო ორივე გოლის გაქვითვა, ამასთან, ორივეჯერ თავი გამოიჩინა ცენტრალურმა მცველმა გოლიკოვმა. მან ჯერ შორიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი მოხვდა ძელს და ბადეში აღმოჩნდა, მერე კი „დინამოს" კარში დაინიშნა პენალტი და იმავე გოლიკოვმა ანგარიში გაათანაბრა.

ტაიმის დასასრულამდე თბილისელებს კიდევ მიეცათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობანი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში გუცაევმა, ყიფიანმა, რეხვიაშვილმა ვერ გამოიჩინეს საჭირო სიზუსტე.

შესვენების შემდეგ ტაშკენტელები საგრძნობლად გააქტიურდნენ, დინამოელებმა კი ტემპს უკლეს. ერთ-ერთ მომენტში გაფრთხილება მიიღო ყიფიანმა და, რახან ეს მისი მეორე გაფრთხილებაა, იგი ავტომატურად გააცდენს შემდეგ კალენდარულ შეხვედრას.

90 წუთი დამთავრდა ისე, რომ ანგარიში აღარ შეცვლილა და საჭირო შეიქნა გამარჯვებულის გამოსავლენად 11-მეტრიანების დანიშვნა. აქ თავი გამოიჩინა თბილისელთა მეკარე დ. გოგიამ, რომელმაც 3 პენალტი (!) აიღო და ტაშკენტელებს არ დაუტოვა მატჩის ხსნის საშუალება, კანთელაძემ, ებრალიძემ, წერეთელმა, მჭედლიშვილმა და ყიფიანმა კი ყველა საჯარიმო ზუსტად დაარტყეს. საერთო ანგარიშით 7:4 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

„დინამო" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გოგია, პეტრიაშვილი, ებრალიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე, ყიფიანი, გუცაევი, რეხვიაშვილი, წერეთელი.

მატჩს სჯიდა მოსკოველი ა. ტაბაკოვი.

დინამოელებმა წააგეს დუბლიორთა შეხვედრა (2:3), თუმცა ისინი წინ იყვნენ ანგარიშით 2:0.

## თასისათვის ბრძოლა

გუშინწინ მოსკოვში შედგა მორიგი მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და ლვოვის „კარპატის" შორის.

გაიმარჯვეს დინამოელებმა — 2:0. ბურთები გაიტანეს კოჟემიაკინმა და გერშკოვიჩმა სტუმრების დაცვის უხეში შეცდომების შედეგად.

გუშინ გაიმართა ტურის სხვა შეხვედრებიც.

## უმაღლესი ლიგა

# მეკარეები და პენალტები

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 28 მაისი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 6:5 (0:0).

„ტორპედო": ზერიძე (გრძელიშვილი), წვერავა, ფრიდმანი, ბერულავა, ქუთათელაძე, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, ფარულავა, ფესტვენიძე, ხერხაძე, ჭოლაძე (შელია).

„ლოკომოტივი": მილესი, ვაშჩენკოვი, მასლოვი, კლიკოვი, პერეგონცევი, უტკინი (ხიზუნი), დავიდოვი, ზუდინი, მალინინი (ჩესნოკოვი), პისკუნოვი (რიჟოვი), სპირიდონოვი.

მსაჯი ბ. ხტრელეცკი (დონეცკი).

დუბლიორები — 2:0 „ტორპედოს" სასარგებლოდ.

მოსკოვის „ლოკომოტივს" კარგად იცნობს ჩვენი საფეხბურთო საზოგადოებრიობა. მართალია, ეს გუნდი ბოლო დროს უმთავრესად უმაღლეს და I ლიგებს შორის მოგზაურობას უნდება, მაგრამ მის შემადგენლობაში საკმაოდ არიან გამოცდილი, ძლიერი ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარონ მატჩები. ლოკომოტიველები ამჟამად არასახარბიელო ადგილზე არიან გათამაშების ცხრილში და მოსალოდნელი იყო, რომ თავს არ დაზოგავდნენ ტორპედოელებთან შეხვედრაში.

ასეც მოხდა. მოსკოველებმა მთელი ძალით ითამაშეს და მთელ რიგ შემთხვევებში უხეშობასაც არ ერიდებოდნენ მასპინძლებთან ბრძოლისას, მაგრამ „ტორპედო" მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ძლიერად ითამაშეს მეკარეებმა ზერიძემაც და გრძელიშვილმაც, ყურადღებით, ენერგიულად მოქმედებდნენ მცველები, დაუღალავად შრომობდნენ ნახევარმცველები, ხოლო თავდამსხმელებმა ბევრი სახიფათო მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან. თუ რამე სასაყვედურო გვაქვს მათს მიმართ, მხოლოდ ის, რომ ხშირად უზუსტობას იჩენდნენ კარში გადამწყვეტი დარტყმის დროს და კარგავდნენ გოლის გატანის საუკეთესო შესაძლებლობას. გაამართლა დებიუტანტმა — ახალგაზრდა მცველმა ქუთათელაძემ.

უკვე დასაწყისშივე ფარულავა — ფესტვენიძის კომბინაციის შემდეგ ამ უკანასკნელს ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ იჩქარა და ბურთი კარს ააცდინა. ცოტა ხანში ასეთივე ბედი ეწია წვერავას ძლიერ დარტყმას, მალე კი ზერიძემ უძნელესი ბურთი აიღო პისკუნოვისგან.

ქუთაისელებმა განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს ტაიმის მეორე ნახევარი, სადაც მილესს ბევრჯერ მთელი თავისი ოსტატობის გამოჩენა დასჭირდა ხიფათის თავიდან ასაცილებლად.

შესვენების შემდეგ ტემპმა ოდნავ იკლო, თუმცა სახიფათო მომენტები კვლავ ხშირად იქმნებოდა ორივე კართან. საბოლოოდ, 90 წუთი უგოლოდ გავიდა და საქმე პენალტებზე მიდგა.

პირველ სერიაში ხერხაძემ, ფარულავამ და წვერავამ ზუსტად გამოიყენეს 11-მეტრიანები, ხოლო ოქროპირაშვილისა და ფრიდმანის დარტყმები მილესმა აიღო. თავი გამოიჩინა გრძელიშვილმაც, რომელმაც აგრეთვე ორი პენალტი მოიგერია.

შემდგომი ორი დარტყმა ზუსტად გამოიყენეს ბერულავამ და ჩახუნაშვილმა, მიზანს მიაღწია მოსკოველთა დარტყმებმაც — 5:5. მატჩის ბედი გადაწყდა მას შემდეგ, როცა შელიამ გოლი გაიტანა, ხოლო გრძელიშვილმა ალდო აუღო ჩესნოკოვის დარტყმას, მოიგერია პენალტი და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. ტორპედოელებმა ქულა აიღეს:

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## I ლიგა

## სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „ალგა" (ფრუნზე) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 2:4, „პამირი" (დუშანბე) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 1:2, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 2:1, „ნეფთჩი" (ბაქო) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 4:2, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 6:5 (პენალტებით. ძირითადი დრო — 1:1), „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 0:1, „ზვეზდა" (პერმი) — „კუზბასი" (კემეროვო) 1:0.

## II ლიგა IV ზონა

28 მაისი.

„ტორპედო" (ვლადიმირი) — „ზვეზდა" (ტირასპოლი) 5:4 (პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0), „რევტრუდი" (ტამბოვი) — „დინამო" (ბრიანსკი) 2:1, „დინამო" (ვოლოგდა) — „დინამო" (ბათუმი) 1:0, „სპარტაკი" (კოსტრომა) — „დილა" (გორი) 1:0, „ვოლგა" (გორკი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 2:1.

# პირველობის ფინიში

XXXIV

თბილისი-73

თბილისი. ჭადრაკის სასახლე. საქართველოს ვაჟთა XXXIV პირველობა.

დაძაბულად განვლო დასკვნითი, IX ტურის შეხვედრებმა. გთავაზობთ მის შედეგებს: ჯ. ბერაძე (წყალტუბო) — ზ. გურგენიძე 0:1, თ. გიორგაძე — ი. ჩიქოვანი 1:0, ე. უბილავა — გ. ზაიჩიკი 1:0, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — მ. შიშოვი 0,5:0,5, ს. კიკილაშვილი — ა. ბოკუჩავა 0:1, ი. მანაშეროვი (ხაშური) — ნ. სოროკინი 1:0, თ. კიკიანი — ზ. მიქაძე 0,5:0,5, ზ. ბურჭულაძე — მ. ჭიპაშვილი 0,5:0,5, ა. ბუსლაევი — ვ. ვეფხვიშვილი 0,5:0,5, ე. მიქაელიანი — მ. არჩვაძე (სამტრედია) 1:0, დ. გურგენიძე — ნ. ჩახოიანი 0,5:0,5, გ. მაჭარაშვილი — ე. აფრიდონიძე 0,5:0,5, თ. ხანთაძე — ნ. ალექსანდრია 0:1, ნ. ლობჟანიძე (წითელი წყარო) — ნ. შოგირაძე (ზუგდიდი) 0:1, დ. გედევანიშვილი — კ. ჩიგოგიძე 0,5:0,5, ს. მეგრელიშვილი — მ. ძნელაძე 1:0, ლ. კურიპკო (გარდაბანი) — ა. გაგუა 0,5:0,5.

ტურნირი დამთავრდა. აი, მისი საბოლოო შედეგებიც:

I-II. ზ. გურგენიძე, გიორგაძე — 7,5-7,5 ქულა, III-V. ზაიჩიკი, უბილავა, ბოკუჩავა — 6-6, VI-IX. ბერაძე, მანაშეროვი, ტუზოვსკი, შიშოვი — 5,5-5,5, X-XV. ბურჭულაძე, კიკიანი, მიქაძე, მიქაელიანი, ჩიქოვანი, ჭიპაშვილი — 5-5, XVI-XXI. ალექსანდრია, ბუსლაევი, ვეფხვიშვილი, კიკილაშვილი, სოროკინი, ჩიგოგიძე — 4,5-4,5, XXII-XXIII. აფრიდონიძე, დ. გურგენიძე — 4-4, XXIV-XXVIII. არჩვაძე, ხანთაძე, ლობჟანიძე, მაჭარაშვილი, მეგრელიშვილი — 3,5-3,5, XXIX-XXXI. გედევანიშვილი, ჩახოიანი, ჩიგოგიძე — 3-3, XXXII-XXXIII. ძნელაძე, გაგუა — 2,5-2,5, XXXIV. კურიპკო — 1,5.

გ. მაჭავარიანი,

პირველობის მთავარი მსაჯი.

# თბილისელებმა გაჯობეს

მაისის დამდეგს კიშინიოვის სამედიცინო ინსტიტუტის მოჭადრაკეებს ამხანაგური მატჩის სათამაშოდ თბილისელი კოლეგები ეწვივნენ. მეტოქეთა გუნდებმა ორი შეხვედრა მოაწყვეს. ანგარიშით 9,5:2,5 გაიმარჯვა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდმა, რომელსაც ოსტატი თ. კიკიანი თავკაცობდა.

წარმატებაში გუნდის ყველა წევრმა შეიტანა წვლილი: კიკიანმა, დ. ჯაფარიძემ და პ. ხერხეულიძემ 1,5-1,5 ქულა დააგროვეს, რ. თოფურიამ — 1, ელენე ბაშინურიძემ და სოფიო ცერცვაძემ — 2-2.

ა. მელნიჩენკო.

კიშინიოვი.

## ჭადრაკი

## „ლელო" წერილის კვალდაკვალ

# SOS!

„ამ სათაურით „ლელოს" 22 მარტის ნომერში დაბეჭდილ მამხილებელ წერილში მოყვანილი ფაქტები ადგილზე შემოწმებით დადასტურდა", — გვატყობინებს საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი ა. დავითაშვილი.

საპასუხო წერილში, აგრეთვე, ნათქვამია: „ჭიკაანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ, ჭიკაანის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა გაატარეს შესაბამისი ღონისძიებები მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

ახალგაზრდობისთვის სოფლის ცენტრში გამოიყო ტერიტორია ფეხბურთის მინდვრის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების მოსაწყობად. იქვე ივარჯიშებენ მძლეოსნები და მოჭიდავეები. კოლმეურნეობამ სამუშაოდ მიიღო ფიზკულტურის ინსტრუქტორი, გამოყო თანხა სპორტული ინვენტარისა და ფორმის შესაძენად.

სპორტული მოედნების კეთილმოწყობა კოლმეურნეობის ახალგაზრდებთან ერთად ითავეს ჭიკაანის საშუალო სკოლის მოსწავლე ფიზკულტურელებმა.

უახლოეს დროში ჭიკაანელ ახალგაზრდებს ექნებათ ყველა პირობა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლისა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის".

ისინი სამნი არიან, მუშკეტერთა რაზმის წევრები. უფროსის გვარი ყველამ იცის, ვისაც ფარიკაობა უყვარს, უმცროსები კი, როგორც ხედავთ, ლამის აკვნიდან სწავლობენ თავიანთი „ტრევილისა" და მამის ხელოვნებას. არავინ იცის, გურამ ლორთქიფანიძის ტყუპი ბიჭები, სამი წლის გურამი და არჩილი, რა კვალს დატოვებენ ფარიკაობის სარბიელზე, რადგან ეს გზა რთულია და დაუსრულებელი. ერთი კი ცხადია: ფარიკაობა იუნიორთა შორის ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის გურამ ლორთქიფანიძის შვილებისთვის იქნება ამოუწურავი, უსასრულო სამყარო, რომელიც მათში გაალვივებს ვაჟკაცობის, რაინდობის, მეგობრობის, პირთათმენის, სიმტკიცის კეთილშობილურ თვისებებს.

გურამს პირის დლესავით ეჭავრებოდა წაგება. ყოველი ჩხვლეტა, მიყენებული მეტოქის მიერ, მისთვის პატარა „დრამა" იყო. გამოხდა ხანი და გურამი არა მარტო სხვა ნორჩი მოფარიკავეების, არამედ საკუთარი შვილების — მომავალი მუშკეტერების აღმზრდელიც გახდა.

აი, ახლა გურამსა და არჩილს გამეტებით მიაქვთ იერიში საკუთარ მამაზე, გურამი კი ნაკლებად ფიქრობს დაცვაზე. თურმე მოფარიკავე მამისთვის იმაზე ტკბილი და სასურველი არაფერი ყოფილა, ვიდრე „სპორტულ სარბიელზე" დამარცხება საკუთარ შვილებთან.

ა. გოგელია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრული კონტაქტების პროგრამით

სულ უფრო იზრდება და მტკიცდება ორი ძმადნაფიცი ქალაქის — თბილისისა და ლოძის კულტურული და სპორტული კავშირი. საქართველოს დედაქალაქის სპორტული ორგანიზაციები პოლონელი მეგობრების ხშირი სტუმრები არიან. ამას წინათ, მაგალითად, თბილისის კალათბურთელ ქალთა ნაკრები, რომელიც ძირითადად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის წევრებით იყო დაკომპლექტებული, ლოძს ეწვია და მონაწილეობა მიიღო ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა თბილისის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს ო. კალაძეს და გუნდის უფროს მწვრთნელს ლ. ძეკონსკის. გთავაზობთ მათს საუბარს.

ტურნირში მონაწილეობდა ოთხი კოლექტივი — ჩვენი ძირითადი მასპინძელი და მეგობრული შეხვედრების ორგანიზატორი, პოლონეთის ჩემპიონი — ლოძის ლკს, ეროვნული ჩემპიონატის მესამე პრიზიორი — პოზნანის ლეგ-ი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი — ჰალეს კლუბი კრუ-69 და თბილისის ნაკრები.

პირველად გერმანელებთან მოგვიხდა თამაში. შეხვედრა, განსაკუთრებით კი მისი პირველი ნახევარი, მძაფრი იყო. ტაიმი 2 ქულით მოვიგეთ, მაგრამ ეს უმნიშვნელო სხვაობა საბოლოო წარმატების გარანტიას ჯერ კიდევ არ იძლეოდა. ბრძოლის ბედი გადაწყდა მეორე ტაიმში, როცა თბილისის ნაკრებმა გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა და მთლიანად ხელთ იგდო ინიციატივა. შეხვედრის შედეგია 80:67.

პოზნანის ლეგ-ის წინააღმდეგ ჩვენები ზომაზე მეტად დაჯერებული თამაშობდნენ, ამიტომაც პირველ ტაიმში მდევრების როლში აღმოვჩნდით. მხოლოდ მე-20 წუთის მიწურულს შევძელით ანგარიშის გათანაბრება — 31:31. ამ მატჩში ძირითადი ამბები შესვენების შემდეგ განვითარდა. შუა ტაიმისთვის თბილისის ნაკრები უკვე წინ იყო 15 ქულით. გუნდმა ინიციატივა შეხვედრის დამთავრებამდე შეინარჩუნა და გაიმარჯვა — 71:52.

ტურნირის ბოლო დღისთვის ჩვენ 2 ქულა გვქონდა, ლოძისა და ჰალეს გუნდებს კი თითო. ამ კოლექტივების შეხვედრაში წარმატებას გერმანელებმა მიაღწიეს და II ადგილი დაისაკუთრეს.

ბოლო მატჩში ლკს-ს ვხვდებოდით და უნდა ითქვას, რომ ჩვენმა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ სხვაობა ანგარიშში არც ისე დიდი აღმოჩნდა, მატჩის შედეგით (59:53) ყველანი კმაყოფილი ვიყავით, მით უმეტეს რომ 1 ადგილი უკვე უზრუნველყოფილი გვქონდა.

რა შეიძლება ითქვას ტურნირის შემოქმედებით მხარეზე და ჩვენს მეტოქეებზე?

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჰალეს გუნდმა მოახდინა. ეს მაღალტექნიკური კოლექტივია, რომელიც გამოირჩევა მტკიცე სათამაშო დისციპლინით.

ლოძისა და პოზნანის გუნდებს განსაკუთრებული ხელწერა აქვთ. ლკს სწრაფი, ტემპიანი კოლექტივია, რომელსაც არა ჰყავს აშკარად გამოკვეთილი ცენტრალური თავდამსხმელი. სამაგიეროდ, ყველა კარგად თამაშობს თავდასხმაში და ზუსტად ისვრის კალათში. ლეგ-ი კი, პირიქით, პოზიციური გუნდია და უფრო კლასიკურ კალათბურთს თამაშობს. ჰყავს რამდენიმე მაღალი ტანის თავდამსხმელი, რომლებიც ეფექტურად მოქმედებენ ფარქვეშ.

განსხვავებული სტილის გუნდებთან მატჩები ჩვენგან ტაქტიკურ მრავალფეროვნებას მოითხოვდა. ამიტომ ხშირად ბრძოლის პროცესშივე გვიხდებოდა მანევრირება. გერმანელებთან და პოზნანის გუნდთან ორთაბრძოლებში აქცენტი ცენტრალურ თავდამსხმელებზე (ა. რუსკინა, ნ. სტრუჟკინა) გადავიტანეთ, ლოძელთა წინააღმდეგ კი დიამეტრულად საპირისპირო ტაქტიკით მოგვიხდა თამაში: მეტი ასპარეზი მივეცით სწრაფი შეტევებისთვის ჩვენს ტემპიან თავდამსხმელებს ყიფიანსა და მაკარიანს. ეს იყო ერთადერთი სწორი გზა ლკს-ს დაცვაში სუსტი ადგილების გამოსაყენებლად. ჩვენი ვარაუდის სისწორე იქიდანაც ჩანს, რომ ამ ორმა კალათბურთელმა კოლექტივს 30 ქულა შესძინა.

პოლონეთში ჩვენი სტუმრობა სხვა მხრივაც იყო სასარგებლო: საძირკველი ჩაეყარა გდრ-ის კალათბურთელებთან მეგობრულ კავშირს. როგორც ცნობილია, ივლისის დამლევს ჰალეში განზრახულია საერთაშორისო ტურნირის გამართვა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა", გდრ-ისა და კოპენჰაგენის ახალგაზრდულმა გუნდებმა და ადგილობრივმა კოლექტივმა. გერმანელებს განზრახული აქვთ ამ ტურნირზე ჩვენც მიგვიწვიონ.

ქალთა ტურნირი კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის კალენდრითაა გათვალისწინებული და მიზნად ისახავს საერთაშორისო არბიტრობის კანდიდატთა გასინჯვასაც (ამ კანდიდატთა შორისაა ჩვენი თანამემამულე, თბილისელი საკავშირო კატეგორიის მსაჯი რ. ხომერიკი).

**სურათზე:** თბილისისა და ლოძის გუნდების შეხვედრის მომენტი.



● **მოსკოვი, 28 მაისი.** მშვილდოსანთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში — „გაზაფხულის ისრები" — სამი დღის შემდეგ ქალთა შორის დაწინაურდა 23 წლის ვ. კოვპანი (ლვოვი), რომელიც 47 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს — მსოფლიოს ჩემპიონს ე. გაპჩენკოს (მოსკოვი). მოსკოველს 1713 ქულა აქვს. ვაჟთა შორის წინაა მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი გ. იარვილი (შვეცია) — 1726.

● **სოფია, 28 მაისი.** სოციალისტური ქვეყნების მოფარიკავეთა XII ტურ-

## [illegible] [illegible]-73

ნირმა საბჭოთა სპორტსმენებს მოუტანა წარმატება: რვა I ადგილიდან ხუთი მათ მოიპოვეს. საბჭოთა მოფარიკავეებმა ყველა გუნდური შეჯიბრება მოიგეს, ხოლო ვ. კროვოპუსკოვმა გაიმარჯვა ესპადრონისტთა პირად ტურნირში. სსრ კავშირის ნაკრები გუნდები უმთავრესად დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა სპორტსმენებით, რომელთა შემოწმებასაც ისახავდნენ მიზნად მწვრთნელები მსოფლიო ჩემპიონატისათვის (გაიმართება 3-13 ივლისს გეტებორგში). სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ლ. საიჩუკმა აღნიშნა ბულგარეთის, გდრ-ის, უნგრეთის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდა მოფარიკავეთა წინსვლა და, მოსკოველი კროვოპუსკოვის გარდა, საბჭოთა გუნდში შექო ალმაათელი ს. ისაკოვი, ნოვოსიბირსკელი ო. კოსტიუკოვა, ლენინგრადელი ბ. ლუკომსკი, მოსკოველი ტატიანა სეგედა, რიგელი ზ. დერაცინსკაია.

## „იუმანიტეს" პრიზი — საბჭოთა სპორტსმენებს

**პარიზი, 28 მაისი.** სსრ კავშირის პროფკავშირთა ნაკრებმა ყველას აჯობა გაზეთ „იუმანიტეს" პრიზზე გამართულ სამდღიან ველორბოლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, პოლონეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ირლანდიის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის გუნდები.

II ადგილი დაიკავა გდრ-ის გუნდმა, III — ჩეხოსლოვაკიის კოლექტივმა.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ნალჩიკელი ი. ტრიფონოვი, ომსკელი ი. ოსინცევი, ტალინელი ა. კაუპმეესი, გორკელი ვ. გოლუბევი და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. გავრილინი.

პირად ჩათვლაში I ადგილზე გავიდა ტრიფონოვი. მეორე იყო ოსინცევი, მესამე — ნ. დიუპრიჩი (გდრ). კაუპმეესმა IX ადგილი დაიკავა, გავრილინმა — XXIV, გოლუბევმა — XL.

რბოლის ყველა ეტაპზე სსრ კავშირის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს. პირველი ეტაპი — ქალაქ ჰავრის ირგვლივ ოსინცევმა მოიგო. მეორე ეტაპზე — ჰავრიდან რუანამდე (144 კმ) პირველი სამი ადგილი დაიკავეს ტრიფონოვმა, კაუპმეესმა და ოსინცევმა. III ეტაპზე — რუანიდან პარიზამდე (174 კმ) გაიმარჯვა ოსინცევმა, ტრიფონოვი მას 10 წამით ჩამორჩა, მაგრამ საერთო ლიდერობა შეინარჩუნა.

ფინიში პარიზის გარეუბან ნანტერში, ჟოლიო კიურის სახელობის სტადიონზე მოეწყო. მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ გამარჯვებულებს. საბჭოთა გუნდს გადაეცა „იუმანიტეს" მთავარი პრიზი — მარსელ კაშენის თასი. (საკდესი).

## მწვერვალთა რომანტიკოსი

**დელი, 28 მაისი.** (საკდესის კორ. ა. შალნევი). ცნობილი ახალზელანდიელი მთამსვლელი ედმუნდ ჰილარი, რომელმაც შერპ ნორგეი თენსინგთან ერთად პირველად დაიპყრო ჯომოლუნგმა (8848 მეტრი ზღვის დონიდან), ახალ ექსპედიციას გეგმავს.

ახლა მისი მიზანია გაურიზანკარი, ჰიმალაის ერთ-ერთი შეიდათასიანი. იგი ამ მწვერვალზე ასვლას გაისად აპირებს.

„მე წინააღმდეგი ვარ დიდი ექსპედიციებისა, — უთხრა ცნობილმა სპორტსმენმა ჟურნალისტებს კალკუტის აეროპორტში სამშობლოში გაფრენის წინ. — ახლა მთამსვლელთა შორის ეს მოდად იქცა. ზოგი ყოველგვარ სპორტულ ეთიკას უარყოფს და ასვლისთვის შვეულმფრენებსაც კი იყენებს. მაგრამ ეს მთამსვლელობა უკვე აღარ არის...

... მე ახლაც ის მიზიდავს, რაც წინათ მხიბლავდა. ბევრი ამას წმინდა რომანტიკას ეძახის, მაგრამ მთამსვლელობის მომხიბვლელობა მაინც მხოლოდ ბუნებასთან ჭიდილია. ადამიანის ვაჟკაცობა და სიმამაცე სწორედ ამ ორთაბრძოლაში ვლინდება".

## პოლონელთა შემადგენლობა

**ვარშავა.** აქ გამოცხადდა შემადგენლობა პოლონეთის ძალოსანთა გუნდისა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატში (მადრიდი, 10-18 ივნისი). სიაში არიან ზ. სმალცეჟი და ა. ლიპა (52 კგ-მდე), ა. პავლიაკი და ლ. სკორუპა (56 კგ-მდე), ი. ვოინოვსკი (60 კგ-მდე), ზ. კაჩმარეკი და ჰ. რუმი (67,5 კგ-მდე), ს. სოხანსკი და ტ. ავუქენი (82,5 კგ-მდე), ჰ. სტემპაკი (90 კგ-მდე). შესაძლოა, მადრიდის ფიცარნაგზე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ნ. ოზიმეკიც (90 კგ-მდე) გამოვიდეს.

პოლონეთის ძალოსანთა მწვრთნელმა კ. როგუსკიმ გადაწყვიტა მნიშვნელოვნად გაეახალგაზრდავებინა ნაკრები და ამიტომ შინ ტოვებს ისეთ ცნობილ ოსტატებს, როგორიც არიან ვ. შოლტისეკი და მ. ნოვაკი.

მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ვ. ბაშანოვსკიმ ამას წინათ მიატოვა სპორტი.

## „ჯირო დ'იტალია" არა მარტო იტალიაში

18 მაისს 56-ე „ჯირო დ'იტალიამ" სტარტი აიღო... ბელგიის ქალაქ ვერვიეში. დაიწყო პროფესიულ ველოსიპედისტთა ერთ-ერთი უდიდესი შეჯიბრება. მაგრამ წლეულს ეს მრავალდღიანი ველორბოლა პირველად გაიმართება არა მარტო იტალიის მიწა-წყალზე, არამედ...

თუმცა თანდათან მივყვეთ. როგორც აღვნიშნეთ, პირველი ეტაპი ბელგიაში დაიწყო. იგი გფრ-ის ტერიტორიაზე, ქალაქ კიოლნში დამთავრდა. II ეტაპს ლუქსემბურგში ჰქონდა ფინიში.

მესამე ეტაპი (ლუქსემბურგი — საფრანგეთის ქალაქი სტრასბურგი) მოიგო ჰოლანდიელმა ჟერბენ კარსტენსმა. 239 კმ მან 6 საათში, 45 წუთში და 1 წამში დაფარა (საშუალო სიჩქარე — 34,547 კმ საათში). II ადგილი დაიკავა გამარჯვებულის თანამემამულემ რიკ ვან როსბრიუიკმა, ხოლო III — იტალიელმა ბასომ.

მეოთხე ეტაპზე (ჟენევა — აოსტა, 163 კმ) ყველას აჯობა ბელგიელმა ედი მერქსმა — 4:43.40 (საშუალო სიჩქარე — 34,475 კმ საათში). მეორე იყო ესპანელი ხოსე ფუენტე, რომელიც გამარჯვებულს სულ რაღაც ერთი წამით ჩამორჩა. იტალიელი ბატალინი III ადგილზე გავიდა, ხოლო მისი თანამემამულე, ცნობილი ველოსიპედისტი ფელიჩე ჯიმონდი ფინიშთან მეშვიდე მივიდა. ამ მონაკვეთზე ველოსიპედისტებმა ალპები „გაჭრეს" — მონბლანის გვირაბით იტალიაში გავიდნენ.

ოთხი ეტაპის შემდეგ ლიდერის ვარდისფერი მაისური მერქსმა ჩაიცვა (საინტერესოა აღინიშნოს, რომ პროფესიულ ველოსიპედისტთა სამივე უდიდეს მრავალდღიან რბოლას ლიდერისთვის „თავისი ფერი" აქვს: ესპანურ „ვუელტას" — თეთრი მაისური, „ტურ დე ფრანსს" — ყვითელი).

9 ივნისს „ჯირო დ'იტალიას" ფინიში ექნება ტრიესტში. სულ 20 ეტაპი მოეწყობა. (საკ. ინფ.).

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## ერერა ვატიკანში?

ცნობილი მწვრთნელი ელენიო ერერა იტალიაში ისევე პოპულარულია, როგორც ნებისმიერი კინოვარსკვლავი. ჟურნალისტებს იგი ძალიან უყვართ, რადგან ერერა რომ არ იყოს, შესაძლოა ლუკმა პური დაკარგონ. ერერასაც უყვარს სენსაციური და უჩვეულო განცხადებები. ამიტომ გულშემატკივრები მუდამ ელიან ამ „ჯადოქრისგან" (იტალიურად „ილ მაგო") რაღაც განსაკუთრებულს.

სულ რამდენიმე კვირაა, რაც პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით ერერას ხსენებამ იკლო — იგი გააძევეს „რომადან", ვინაიდან დანაპირები ვერ შეასრულა, ეს გუნდი „ინტერივით" ბრწყინვალედ ვერ აქცია. „რომა" II ლიგაში გადასვლის კანდიდატადაც კი ითვლებოდა.

მაგრამ ერერა უმუშევარი არ დარჩენილა — მილანის „ინტერნაციონალეს" ხელმძღვანელობამ მას მწვრთნელის პოსტი შესთავაზა და კომენტატორებმა ამჯერადაც ახალ სენსაციად გამოაცხადეს „ინტერში" „ილ მაგოს" დაბრუნება. ზოგიერთი კომენტატორის აზრით, მოსალოდნელია „ინტერის" აღორძინება და ევროპის საუკეთესო გუნდად გადაქცევაც კი. აი, ასე დამთავრდა მორიგი აჟიოტაჟი ერერას ირგვლივ...

მაგრამ ერერას, ეტყობა, მოსწყინდა გაზეთების თვალიერება, რომლებშიც საკუთარ გვარსა და ფოტოსურათებს ვეღარ ხედავდა. არ გასულა სამი კვირა და ვილაცასთან საუბრის დროს მან თქვა, რომ შესაძლოა ვატიკანში (!) გადავიდეს სამუშაოდ და კათოლიკური ეკლესიის ამ ციხესიმაგრეში ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელობა იკისროს.

ადვილი წარმოსადგენია, ერერას ამ განცხადების შემდეგ რაოდენ დიდი ადგილი დაეთმო მას იტალიის სპორტულ პრესაში.

საქმე ისაა, რომ აპრილში ვატიკანში პირველი საფეხბურთო ჩემპიონატი დაიწყო. შეჯიბრებაში შვიდი გუნდი მონაწილეობს. დღემდე ლიდერობენ კათოლიკური გაზეთის „ლ'ოსერვატორე რომანოს" გუნდი და ვატიკანის მუზეუმების მსახურებით დაკომპლექტებული „მუზეი ვატიკანის" კოლექტივი. ერერას თურმე „ლ'ოსერვატორე რომანო" იწვევს.

ვინ იცის, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ვატიკანმა მსოფლიო ჩემპიონატშიც მიიღოს მონაწილეობა და მისი ნაკრების მწვრთნელი ე. ერერა იყოს.

„ლელოს" მიმომხილველი.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

თბილისის სპორტულ ცხოვრებაში

სასტენდო სროლა. ვარკეთილის სასროლეთი. 30 მაისი-3 ივნისი. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. დასაწყისი 10 ს.